

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N006/19¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

ნანა ხეჩიკაშვილი (სტუდენტი)

შეკითხვა

ადვოკატი „ბ“ მუშაობდა „პირველ კომპანიაში“ იურისტის პოზიციაზე, მათ შორის ახორციელებდა სასამართლო წარმომადგენლობას კომპანიის ინტერესების სასარგებლოდ სხვადასხვა საქმეზე. ადვოკატმა „გ“-მ მუშაობა განაგრძო ახალ კომპანიაში. ადვოკატ „ბ“-ს დაევალა ბიუროს ინტერესების დაცვა „პირველი კომპანიის“ წინააღმდეგ სასამართლოში. დავის საგანი არ უკავშირდება იმ საქმეებს, რომლებზედაც ის, როგორც „პირველი კომპანიის“ იურისტი ახორციელებდა წარმომადგენლობას. დაარღვევს თუ არა ეთიკურ ვალდებულებებს ადვოკატი „ბ“, თუ ის ბიუროს ინტერესებს წარმოადგენს?

სამართლებრივი შეფასება

ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც: კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. (აპკ-ი 6.2.(ბ)). ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს ისე წარმართოს საადვოკატო საქმიანობა, რომ თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი. ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების დაწყებისას, უნდა გაითვალისწინოს ის გარემოებები, რაც ინტერესთა კონფლიქტის არსებობას ან მისი საფრთხის წარმოქმნას უკავშირდება. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი მუშაობდა „პირველ კომპანიაში“ იურისტის პოზიციაზე, შესაბამისად, ფლობდა ორგანიზაციის საქმიანობის თაობაზე ინფორმაციას, წარმოადგენდა მის ინტერესებს სასამართლოში. ადვოკატი კომპანიაში იურისტის პოზიციაზე მუშაობისას იყო ადვოკატთა ასოციაციის წევრი და შესაბამისად, მას კომპანიის მიმართ გააჩნია ეთიკური ვალდებულება - დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი. მნიშვნელოვანია მხარეთა შორის არსებული საქმის შინაარსი და გასათვალისწინებელია ადვოკატის მიერ „თავდაპირველ კომპანიაში“ მუშაობის გარემოება ინტერესთა კონფლიქტის ან მისი წარმოქმნის საფრთხის თავიდან ასარიდებლად.

დასკვნა

ადვოკატი, რომელიც იურისტის პოზიციაზე მუშაობს კომპანიაში, ვრცელდება ეთიკური ნორმები, მათ შორის ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება და შემდგომში კომპანიის წინააღმდეგ საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, არ დაუშვას ინტერესთა კონფლიქტის ან მისი წარმოქმნის საფრთხის არსებობა.

¹ <https://gba.ge/pdf/5dde84a3db329.pdf/006.19%20gacemis%20tarigi%2011.02.19.pdf>